



შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“
„Maritime Teaching Training Centre Equator“, LTD

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2023 წლის 11 აგვისტოს N 00008130 ბრძანებით

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“


დებულება

ნდ №2-01-01ქ




ბათუმი

2023



სარჩევი

თავი I.....	3
მუხლი 1. დაწესებულების იურიდიული სტატუსი	3
მუხლი 2. საქმიანობის საგანი	3
თავი II.....	3
მუხლი 3. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 4. მართვის ორგანოები	3
მუხლი 5. პარტნიორთა კრება	3
მუხლი 6. დირექტორი.....	4
თავი III	5
მუხლი 7. სტრუქტურა	5
მუხლი 8. პედაგოგიური საბჭო.....	5
მუხლი 9. ხარისხის მართვის მენეჯერი	6
მუხლი 9. ¹ ხარისხის მართვის სპეციალისტი	7
მუხლი 10. ბიბლიოთეკა.....	7
მუხლი 11. კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი	7
მუხლი 12. პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი	8
მუხლი 13. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი	9
მუხლი 14. ფინანსური მენეჯერი	10
მუხლი 14 ¹ . ბუღალტერი	10
მუხლი 15. საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	10
მუხლი 16. იურისტი	11
მუხლი 17. IT მენეჯერი	11
მუხლი 18. შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის მენეჯერი	12
მუხლი 18 ¹ . უსაფრთხოების სპეციალისტი	12
მუხლი 19. ექიმი	13
მუხლი 20. სასწავლო საწვრთნელი ცენტრი.....	14



თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დაწესებულების იურიდიული სტატუსი

1. შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ (შემდგომში – „კოლეჯი“) კერძო სამართლის იურიდიული პირი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნდა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად, კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. კოლეჯის სრული სახელწოდებაა: შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი.
3. კოლეჯი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონით „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“, საკუთარი წესდებითა და ამ დებულებით;
4. კოლეჯს აქვს ბეჭედი შესაბამისი სიმბოლოთი, საიდენტიფიკაციო კოდითა და კოლეჯის სახელწოდებით, ბლანკი, საბანკო ანგარიში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. კოლეჯის მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. №33.
ტელ.: +995 422 22-43-43;
ვებ-გვერდი: <http://equator.ge>;
ელ-ფოსტა: info@equator.ge; / contact.equator1@gmail.com.

მუხლი 2. საქმიანობის საგანი

1. კოლეჯის საქმიანობა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროს.
2. კოლეჯი საქმიანობისას ითვალისწინებს ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების ან შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობის და სხვა ნიშნით.

თავი II

მართვა

მუხლი 3. ზოგადი დებულებები


1. კოლეჯი შედგება მართვის ორგანოებისაგან და ადმინისტრაციისაგან.
2. კოლეჯში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები.

მუხლი 4. მართვის ორგანოები

1. კოლეჯის მართვის ორგანოებს განეკუთვნება:
 - ა) პარტნიორთა კრება;
 - ბ) დირექტორი.


მუხლი 5. პარტნიორთა კრება

1. პარტნიორთა კრების უფლებამოსილება განსაზღვრულია კოლეჯის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით.



მუხლი 6. დირექტორი

1. კოლეჯის დირექტორი ხელმძღვანელობს და წარმართავს კოლეჯის საქმიანობას.
2. კოლეჯის დირექტორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კოლეჯის წესდებითა და წინამდებარე წესით.
3. დირექტორი მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წესდების, ამ წესისა და კოლეჯის სამართლებრივი აქტების შესაბამისად, წარმოადგენს კოლეჯს ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში ან ამ უფლებას გადასცემს სხვას.
4. დირექტორი ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:
 - ა) კოლეჯს წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
 - ბ) ამტკიცებს კოლეჯის ბლანკს, სტრუქტურას, საშტატო განრიგს, საქმისწარმოების ერთიან წესს, შინაგანაწესს, დებულებას, ეთიკის კოდექსს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, სტრატეგიული განვითარების გეგმებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, საწვრთნელ პროგრამებს (მოდელ-კურსებს), პროფესიული დიპლომის ფორმას და კოლეჯის ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტებს;
 - გ) დებს ფინანსურ-ეკონომიკურ თუ სხვა სახის გარიგებებს;
 - დ) ნიშნავს/ათავისუფლებს კოლეჯის პერსონალს;
 - ე) დებს შრომით/სასწავლო/მომსახურების და სხვა სახის ხელშეკრულებებს;
 - ვ) გამოსცემს ბრძანებას კოლეჯში ჩასარიცხი/მოდელ-კურსებზე დასაშვების პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, მათი წარმოდგენის ვადისა და შესაბამისი პროცედურის შესახებ. ამოწმებს არაფორმალური აღიარების დოკუმენტს;
 - ზ) გამოსცემს ბრძანებას არაფორმალური განათლების აღიარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და წარდგენის ვადებს, გასაჩივრების წესს და სხვა;
 - თ) გამოსცემს ბრძანებას პროფესიული დიპლომის გაცემის თაობაზე, ადასტურებს დიპლომის გაცემას, აწერს ხელს როგორც უფლებამოსილი პირი;
 - ლ) გამოსცემს ბრძანებებს აპლიკანტების ჩარიცხვის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება-შეწყვეტა-აღდგენასთან-მობილობასთან დაკავშირებით;
 - მ) ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მოდელ-კურსებს, კალენდარული გეგმის ფორმას, კითხვარებს და მათი შევსების წესს;
 - ნ) გამოსცემს ბრძანებებს კოლეჯის მიმდინარე და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.
 - ო) გამოსცემს ბრძანებებს მსმენელების კურსებზე დაშვებასთან დაკავშირებით;
5. დირექტორი ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე;



თავი III

ადმინისტრაცია

მუხლი 7. სტრუქტურა


1. კოლეჯის პერსონალია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და ადმინისტრაციის სხვა პერსონალი, რომელთა მუშაობას კოორდინირებას უწევს დირექტორი, შესაბამისად კოლეჯის ადმინისტრაციაში განსაზღვრულია შემდეგი სტრუქტურული/სამშტაბო ერთეულები:

- დირექტორი;
- პედაგოგიური საბჭო;
- ხარისხის მართვის მენეჯერი;
- ხარისხის მართვის სპეციალისტი;
- ბიბლიოთეკა;
- კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
- პროფესიული სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
- ფინანსური მენეჯერი;
- ბუღალტერი;
- საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
- იურისტი;
- IT მენეჯერი;
- შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის მენეჯერი;
- უსაფრთხოების სპეციალისტი;
- ექიმი;

მუხლი 8. პედაგოგიური საბჭო

1. პედაგოგიური საბჭო:


- ა) განიხილავს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, ასევე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმებს;
- ბ) განიხილავს სასწავლო – აღმზრდელობითი და მეთოდური სამუშაოების მდგომარეობასა და შედეგებს, სწავლების მეთოდების სრულყოფის საკითხებს;
- გ) აჯამებს პრაქტიკის კომპონენტის შედეგებს და ხარისხის მენეჯერთან ერთად სახავს და შეიმუშავებს გაუმჯობესების მექანიზმებს;
- დ) სახავს გადამზადების/წვრთნისა და პროფესიული სწავლების განვითარების გეგმას და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას;
- ე) პერიოდულად ისმენს ანგარიშებს სასწავლო, აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის შესახებ;
- ვ) სახავს ღონისძიებებს IMO-ს საერთაშორისო კონვენციების, მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციის - STCW 1978/2010 და გემბანის რიგითი მეზღვაურისა და სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მეზღვაურთა მაღალხარისხიანად მომზადებისა და გადამზადებისათვის;
- დ) დადგენილი წესის მიხედვით შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო ერთეულების, ლაბორატორიების, კაბინეტების და სხვ. შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- თ) ისმენს საწვრთნელი ცენტრის ანგარიშებს გაწეული მუშაობის და გამოშვებული კადრების ვარგისიანობის შესახებ, სახავს კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების გზებს;



- ი) ისმენს წამყვანი პედაგოგების, შორეული ნაოსნობის კაპიტნების, უფროსი მექანიკოსებისა და ელექტრომექანიკოსების მუშაობის გამოცდილებებს, ცდილობს მათ მოზიდვასა და ჩართვას ცენტრის პროგრამების შემუშავებასა და სასწავლო საქმიანობაში;
 - კ) შეიმუშავებს, ხარისხის მენეჯერთან და სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს;
 - ლ) სვამს საკითხებს თანამშრომელთა კომპეტენტურობის შესახებ, თუ ისინი სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებენ. ამ საკითხის დასმას წინ უნდა უსწრებდეს მუშაობის შემოწმება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი პედ.საბჭოს შემადგენლობიდან;
 - მ) განიხილავს კოლეჯის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;
 - ნ) განიხილავს საკითხებს მისაღები კონტიგენტისა და გამოსაშვები სპეციალისტების შესახებ, მათი დასაქმების საკითხებს, მის ანალიზს;
 - ო) განიხილავს სასწავლო სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის, ელექტრონული ბიბლიოთეკისა და სხვა სასწავლო მასალების საკითხებს;
 - პ) განიხილავს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
 - ჟ) განიხილავს ინსტრუქტორებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების შესახებ საკითხებს.
 - რ) განიხილავს სხვა საკითხებს, დაკავშირებულს კოლეჯის საქმიანობასთან.
2. პედაგოგიური საბჭოს საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს დებულების შესაბამისად.

მუხლი 9. ხარისხის მართვის მენეჯერი

1. ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების შესახებ და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად.
2. ხარისხის მართვის მენეჯერი მონიტორინგსა და შეფასებას უკეთებს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების დინამიკას.
3. ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო მუშაობის ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის, ზრუნავს კოლეჯის მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და მის განვითარება-განახლებაზე.
4. ხარისხის მართვის მენეჯერი ხარისხის განვითარებისა და მართვის მიზნით კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან აქტიური კოორდინაციის მეშვეობით ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
 - ა) უზრუნველყოფს კოლეჯში თეორიული და პრაქტიკული სწავლების ხარისხის ამაღლებას;
 - ბ) შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდული შეფასების მექანიზმებს, ამზადებს სათანადო დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მონიტორინგს;
 - გ) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სისტემატურ გამოკითხვას შესაბამისი კითხვარების მიხედვით; ახდენს შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს;
 - დ) ახორციელებს ავტორიზაციის და თვითშეფასების პროცესს დადგენილი წესის შესაბამისად;
 - ე) გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯის ადმინისტრაციისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით;
 - ვ) ამოწმებს საათობრივი ბადის სასწავლო გეგმასთან შესაბამისობას;
 - ზ) სწავლის მეთოდებისა და თემატიკის დასაკონკრეტებლად უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია ჩართოს კოლეჯის შესაბამისი პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი ორგანიზაცია, პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირი.



- თ) პასუხისმგებელია დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაზე;
- ი) ამზადებს დასკვნას შემუშავებულ პროფესიულ პროგრამებზე/მოდულ-კურსებზე და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად.
- კ) ამზადებს ხარისხის მართვის სისტემის ანალიზს და წარუდგენს ხელმძღვანელობას, მინიმუმ წელიწადში ერთხელ;
- ლ) პასუხისმგებელია შიდა აუდიტის ჩატარებაზე;
- მ) პასუხისმგებელია სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე.
- ნ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 9.¹ ხარისხის მართვის სპეციალისტი


1. ხარისხის მართვის სპეციალისტი:
 - ა) სწავლების ხარისხის შემოწმების მიზნით ესწრება თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს;
 - ბ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს მოდულების კალენდარული გეგმების თემატიკისა და აქტივობების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის დადგენაში;
 - გ) ახორციელებს შეხვედრებს კოლეჯის მასწავლებლებთან პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის უკეთ დამლევის მეთოდების საკითხებზე;
 - დ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის პროცესში;
 - ე) კონსულტაციას უწევს პროფესიულ მასწავლებლებს კალენდარული გეგმების შემუშავების კუთხით;
 - ვ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის მიღწევას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვით, მათი მუშაობის სისტემატური შეფასებითა და უწყვეტი განვითარების გზით;
 - ზ) კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის ავტორიზაციის თვითშეფასების მომზადების პროცესში;
 - თ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის და ხარისხის მენეჯერის სხვა დავალებებს.
2. ხარისხის მართვის სპეციალისტი უშუალოდ ექვემდებარება და მის საქმიანობას კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს ხარისხის მენეჯერი.

მუხლი 10. ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად.

მუხლი 11. კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი


1. კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი კოორდინაციას უწევს კოლეჯში სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის პროცესებს.
2. კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი:
 - ა) განსაზღვრავს ახალი კადრების მოზიდვისა და შერჩევის მეთოდებს;
 - ბ) აწარმოებს შინაგანაწესის შესრულების მონიტორინგს;
 - გ) შეიმუშავებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს, სამუშაო აღწერილობებს;
 - დ) პერსონალთან აფორმებს ხელშეკრულებებს და აკონტროლებს ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესრულებას;
 - ე) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს პერსონალის კონკურსის წესით შერჩევასთან დაკავშირებულ პროცედურებს, განსაზღვრავს კონკურსის პირობებისა და შეფასების მეთოდებს;
 - ვ) მონაწილეობს საკადრო შინაარსის ბრძანებების, ხელშეკრულებების, სხვადასხვა მარეგულირებელი აქტების პროექტების შემუშავებაში;



- ზ) პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებასა და ორგანიზაციულ სრულყოფაზე;
- თ) პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩართულია საჭიროებების კვლევის პროცესში;
- ი) ახორციელებს თანამშრომელთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნას, მის სრულყოფასა და სისტემატიზაციას;
- კ) პასუხისმგებელია ახლადდანიშნული თანამშრომლის ადაპტაციის პროცესის განხორციელებაზე.
- ლ) კოლეჯში მეტი მოტივირებული ახალგაზრდის მოზიდვის მიზნით ამზადებს სხვადასხვა ფორმის საპრეზენტაციო მასალებს;
- მ) მოიპოვებს შესაბამის უფლებას და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეებთან აწყობს პერიოდულ პრეზენტაციებს კოლეჯის მოდულური პროფესიული პროგრამების სწავლების სპეციფიკის და დასაქმების პერსპექტივების თაობაზე;
- ნ) დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებს კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს მოძიებისა და დასაქმების საკითხებში;
- ო) ქმნის ბაზას დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შესახებ;
- პ) მოიძიებს დამსაქმებელ ორგანიზაციებს და მართავს მოლაპარაკებებს სტუდენტთა დასაქმების მიზნით;
- ჟ) აორგანიზებს პროფესიული სტუდენტებისათვის კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს;
- რ) ორგანიზებას უწევს ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს;
- ს) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 12. პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი


1. პროფესიული სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი კოორდინაციას უწევს კოლეჯში სასწავლო პროცესს, რეესტრის წარმოებას და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესების ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე.
2. პროფესიული სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი:
 - ა) უზრუნველყოფს კოლეჯში სასწავლო ცხრილის შედგენას და აკონტროლებს მის განხორციელებას;
 - ბ) სალექციო და პრაქტიკული საათების გაცდენების შემთხვევაში გეგმავს დამატებითი საათების ჩატარების გრაფიკს და უზრუნველყოფს მის რეალიზაციას;
 - გ) აკონტროლებს და ანაზღაურების მიზნებიდან გამომდინარე აღრიცხავს მოდულის განმახორციელებელ პირთა დასწრებას;
 - დ) აკონტროლებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრებას;
 - ე) აღრიცხავს და აკონტროლებს პროფესიულ მასწავლებელთა შეფასებების იდენტურობას მოდულების შედეგების შესაბამისად;
 - ვ) პერიოდულად აფასებს კოლეჯში მიმდინარე სასწავლო პროცესს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს; დამტკიცებული სასწავლო პროგრამების მიხედვით ადგენს შეფასებების გრაფიკს;
 - ზ) აკონტროლებს პროფესიულ მასწავლებელთა საგამოცდო (შეფასების ინსტრუმენტების) და სასემინარო მასალის ვალიდურობას;
 - თ) კოორდინაციას უწევს კალენდარული გეგმების შემუშავებას;
 - ი) პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოებასა და ორგანიზაციულ სრულყოფაზე;
 - კ) იღებს პროფესიულ სტუდენტთა განცხადებებს და პრეტენზიებს და ამზადებს განსახილველად;
 - ლ) საჭიროების შემთხვევაში მოდულების ფარგლებში ახდენს შედეგების განმეორებით დადასტურებისთვის გრაფიკს;
 - მ) კომპეტენციის ფარგლებში ერთვება სასწავლო პროგრამების შემუშავებაში;



- ნ) კონსულტირებას უწევს შშმ/სსსმ პირებს და მათ ოჯახებს პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, ახდენს მხარდაჭერას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ო) მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- პ) უზრუნველყოფს შშმ/სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლისას ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო პროცესს და სასწავლო გარემოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის კადრთან ერთად;
- ჟ) ახდენს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სხვა სპეციალისტთა კონსულტირებას და მხარდაჭერას შშმ/სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესში;
- რ) ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანას და განახლებას;
- ს) დირექტორის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, უზრუნველყოფს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შესახებ ინფორმაციის შეტანას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში;
- ტ) ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას გონივრულ ვადებში;
- უ) უზრუნველყოფს ბეჭდვით ორგანოში პროფესიული დიპლომების დასაბეჭდად დირექტორის სათანადო ბრძანებების და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას;
- ფ) უზრუნველყოფს პროფესიული დიპლომების დადგენილი პროცედურების შესაბამისად გაცემას;
- ქ) ამზადებს გამოსაყენებლად უვარგის პროფესიულ დიპლომებს ულიტალიზაციისთვის;
- ღ) ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას;
- ყ) პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის ყოველწლიურ გაახლებაზე;
- შ) კოორდინირებას უწევს საკონსულტაციო შეხვედრებს იმ სტუდენტებთან რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით.
- ც) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 13. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

1. სასწავლო პროცესის მენეჯერი კოორდინაციას უწევს საწვრთნელ ცენტრში სასწავლო პროცესს, აწარმოებს მსმენელთა რეგისტრაციას სპეციალურ ელექტრონულ მოდულში და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესების ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე.
2. სასწავლო პროცესის მენეჯერი:
 - ა) უზრუნველყოფს საწვრთნელ ცენტრში სასწავლო ცხრილის შედგენას და აკონტროლებს მის განხორციელებას;
 - ბ) სალექციო და პრაქტიკული საათების გაცდენების შემთხვევაში გეგმავს დამატებითი საათების ჩატარების გრაფიკს და უზრუნველყოფს მის რეალიზაციას;
 - გ) აკონტროლებს და ანაზღაურების მიზნებიდან გამომდინარე აღრიცხავს ინსტრუქტორთა მიერ ჩატარებულ საათებს;
 - დ) აკონტროლებს მსმენელთა დასწრებას;
 - ე) ახორციელებს საგამოცდო ბაზებზე წვდომას და ბეჭდავს პრაქტ. დავალებების შეფასების ფურცლებს;
 - ვ) აკონტროლებს საგამოცდო პროცესს სპეციალურ ელექტრონულ მოდულში;
 - ზ) პასუხისმგებელია მსმენელთა პირადი საქმეებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოებასა და ორგანიზაციულ სრულყოფაზე;
 - თ) ახდენს მსმენელთა ინფორმირებას გონივრულ ვადებში;



ი) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.

კ) ადგენს ინსტრუქტორთა სასწავლო მეთოდური შემოწმების, ურთიერთდასწრების გეგმა-ნუსხებს.

მუხლი 14. ფინანსური მენეჯერი

1. ფინანსური მენეჯერი:

ა) აწარმოებს კოლეჯის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულების ანალიზს და საბუღალტრო აღრიცხვას;

ბ) უზრუნველყოფს თანამშრომლებთან და სხვა მოწვეულ პირებთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების აღსრულებას;

გ) აწარმოებს საბუღალტრო პირველადი დოკუმენტების დამუშავებას;

დ) ადგენს სახელფასო ტაბელებს;

ე) მონაწილეობას იღებს წლიური ბიუჯეტის მომზადებაში;

ვ) თვალყურს ადევნებს ახალ მარეგულირებელ დოკუმენტებს და შესაბამისი ცვლილებები შეაქვს საბუღალტრო საქმიანობაში;

ზ) უზრუნველყოფს ბუღალტრული დოკუმენტების, აღრიცხვის რეგისტრირების, ხარჯთა ნუსხების, მათი გაანგარიშების და სხვა საბუთების დადგენილი წესით არქივში ჩაბარებას;

თ) დირექტორთან ერთად უზრუნველყოფს ხელმოწერას ბუღალტრულ დოკუმენტურ მასალაზე, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტისა და ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთა ნუსხების შესრულებასთან, საბანკო ოპერაციებთან;

ი) უზრუნველყოფს ბალანსის შედგენას;

კ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 14¹. ბუღალტერი

1. ბუღალტერი:

ა) აწარმოებს არაფინანსური აქტივების და მატერიალური მარაგების აღრიცხვას პასუხისმგებელი პირების მიხედვით;

ბ) ახორციელებს ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებას;

გ) აწარმოებს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების ანალიზურ აღრიცხვას;

დ) აკონტროლებს ანგარიშების მიხედვით ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ნაშთებს;

ე) აწარმოებს მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების დროული აღრიცხვისთვის დოკუმენტაციის მომზადებას;

ვ) დახმარებებთან დაკავშირებით უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენი წერილობითი ინფორმაციის შესაბამისი დოკუმენტაციით მომზადებას;


თ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის და ფინანსური მენეჯერის მენეჯერის სხვა დავალებებს.

2. ბუღალტერი უშუალოდ ექვემდებარება და მის საქმიანობას კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს კოლეჯის ფინანსური მენეჯერი.“.

მუხლი 15. საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

1. საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი კოორდინაციას უწევს კოლეჯში საქმის წარმოებასა საზოგადოების ინფორმირებას, კოლეჯში მიმდინარე პროცესების შესახებ.

2. საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:



- ა) ახორციელებს კოლეჯში შემოსული და გასული კორესპონდენციების (ასევე კოლეჯში შექმნილი დოკუმენტების) რეგისტრაციას, შენახვას (დაცვას), სისტემატიზაციასა და მის ოპერატიულ მიწოდებას შემსრულებლებისათვის; პასუხობს სატელეფონო ზარებს და ელ.ფოსტით შემოსულ შეკითხვებს;
- ბ) აწარმოებს ბრძანების გამოცემისა და გაცნობის ორგანიზაციულ მხარეს; უზრუნველყოფს მათ შენახვას და გაცნობას შესაბამის პირებისადმი საქმისწარმოების საერთო წესების შესაბამისად;
- გ) ახორციელებს კონტროლზე აყვანილ დავალებათა დადგენილ ვადებში შესრულების კონტროლს;
- დ) უზრუნველყოფს თათბირებისა და სამუშაო შეკრებების ორგანიზებას და ევალუა შესაბამისი ოქმების წარმოება;
- ე) უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის დავალებით სხვადასხვა დოკუმენტების და წერილების წარდგენას შესაბამის უწყებებში;
- ვ) გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს კოლეჯის პოპულარიზაციას;
- ზ) უზრუნველყოფს კოლეჯში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირებულობას, რაც მოიცავს ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის, როგორც ტექსტური, ასევე ფოტომასალის განთავსებას კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე IT მენეჯერთან ერთად;
- თ) ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის შეხვედრების ჩატარებას;
- კ) სისტემატიურად ანახლებს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდს IT მენეჯერთან ერთად;
- ლ) უზრუნველყოფს სტუმრების დახვედრის, მიღების ორგანიზებას, მათთვის სამუშაო და კულტურული პროგრამის დამუშავება-რეალიზებას;
- მ) პროფესიული სტუდენტებისათვის კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზება;
- ნ) უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.
- ო) საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი უზრუნველყოფს კოლეჯში არქივის წარმოებას.
- პ) უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.
- ჟ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 16. იურისტი


1. იურისტი:

- ა) უზრუნველყოფს დირექტორის მიერ გამოსაცემი ბრძანებების შესაბამისობას იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ აქტებთან;
- ბ) წარმოადგენს კოლეჯს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული ექნება მას დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის ფარგლებში;
- გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამზადებს შრომით და სხვა სახის ხელშეკრულებებს;
- დ) სამსახურეობრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციებს უწევს კოლეჯის პერსონალს;
- ე) ახორციელებს კანონმდებლობით და დირექტორის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- ვ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 17. IT მენეჯერი

1. IT მენეჯერი:

- ა) ახორციელებს კოლეჯის კომპიუტერული ქსელის მართვას და ადმინისტრირებას;
- ბ) უზრუნველყოფს კოლეჯის კომპიუტერული პარკის (სასწავლო გარემოები, ადმინისტრაცია) გამართულ ტექნიკურ მუშაობას და პროგრამულ უზრუნველყოფას;
- გ) პასუხისმგებელია კომპიუტერული ტექნიკის სიახლეებით კოლეჯის უზრუნველყოფაზე;




- დ) საჭიროების მიხედვით ამატებს ინფორმაციას კომპიუტერული ტექნიკის, აქსესუარებისა და მარაგნაწილების მდგომარეობის შესახებ;
- ე) პასუხისმგებელია კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, არსებული პრობლემების დროულად მოგვარებაზე, ქსელის მართვაზე და უსაფრთხოებაზე.
- ვ) ქმნის დოკუმენტს კომპიუტერების ან მათი მარაგნაწილების განახლების თაობაზე;
- ზ) ტექნიკურ ზედამხედველობას და ადმინისტრირებას უწევს კოლეჯის საინფორმაციო სოციალური ქსელების განვითარებას (ვებ-გვერდი, ფეისბუქი);
- თ) პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო ქსელის პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობაზე.
- ი) ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე;
- კ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 18. შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის მენეჯერი

- ა) კოორდინაციას და კონტროლს უწევს კოლეჯის მიერ განსახორციელებელი შესყიდვების პროცედურებს; უზრუნველყოფს მათ დროულ და ხარისხიან განხორციელებას;
- ბ) ახდენს შესყიდვების და მათთან დაკავშირებული თანხების მოძრაობის პერიოდულ, კერძოდ, ყოველკვირეულ, ყოველთვიურ, ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ შემოწმებას;
- გ) შესასყიდი ობიექტის შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ახდენს ბაზრის მოკვლევას;
- დ) უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისთვის საჭირო მასალების, ასევე სამეურნეო საჭიროებისათვის საჭირო მასალების დროულად მომარაგებას;
- ე) აკონტროლებს კოლეჯის ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვას;
- ვ) კოორდინაციას უწევს საწყობის გამართულ მუშაობას;
- ზ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 18¹. უსაფრთხოების სპეციალისტი

- ა) იცავს შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივ მარეგულირებელ ნორმებს და წესებს;
- ბ) ზრუნავს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებაზე, რათა ჯანმრთელობას ზიანი არ მიაღწეს;
- გ) უზრუნველყოფს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;
- დ) აღრიცხავს სამუშაო სივრცეში უბედურ შემთხვევებს, პროფესიული დაავადებების შემთხვევებს, საშიში შემთხვევებს და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამის ინფორმაციას აწვდის დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;
- ე) უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაციას, მოკვლევას და ანგარიშგებას „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად;
- ვ) რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:
- ვ.ა) კოლეჯში შემოწმდეს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოხდეს მისი დოკუმენტირება;



ვ.ბ) დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, გაკონტროლდეს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვლა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შემოწმდეს, გაიზომოს და შეფასდეს საწარმოო გარემოს შემდეგი ფაქტორები:

ზ.ა) ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის, ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, არამაგნიტური გამოსხივება, მაგნიტური გამოსხივება, საწარმოო ხმაური, ულტრაბგერა, ინფრაბგერა, ვიბრაცია, უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები (მტვერი), განათება, აეროიონები, ელექტრომაგნიტური ველები);

ზ.ბ) ქიმიური ფაქტორები (მათ შორის, ქიმიური სინთეზით მიღებული, ბიოლოგიური ბუნების მქონე ზოგიერთი ნივთიერება (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები, ფერმენტები, ცილოვანი პრეპარატები) ან/და ნივთიერებები, რომელთა კონტროლისათვის ქიმიური ანალიზის და დეტექციის მეთოდები გამოიყენება);

ზ.გ) ბიოლოგიური ფაქტორები (მათ შორის, ვირუსები, ცოცხალი უჯრედები და სპორები, პათოგენური მიკროორგანიზმები, პრეპარატებში შემავალი მიკროორგანიზმები – პროდუცენტები).

3. კოლეჯში დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;

ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

გ) საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ;

დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

4. სწავლების (ტრენინგების) ჩატარება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

ა) დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;

ბ) დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;

გ) ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;

დ) განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით.“

მუხლი 19. ექიმი

1. ექიმი:


ა) აკონტროლებს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების პირველად სამედიცინო დახმარებას;

გ) ამზადებს პერიოდულ ანგარიშს კოლეჯისთვის შესაძენი მედიკამენტების და პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ;

დ) აწარმოებს მედიკამენტების და პირველადი სამედიცინო საშუალებების შემოტანა-გაცემის აღრიცხვას;

ე) ევალუა დანიშნულების მიხედვით პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში დიაგნოსტიკურ-სარეაბილიტაციო, პროფილაქტიკური და სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება;



- ე) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია სასწრაფო სამედიცინო სამსახურის დროულ გამოძახებაზე;
- ვ) აწარმოებს მედიკამენტების ვადების კონტროლს;
- ზ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა დავალებებს.
- თ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების პირველად სამედიცინო დახმარებას;

მუხლი 20. სასწავლო საწვრთნელი ცენტრი

1. კოლეჯის შემადგენლობაშია სასწავლო საწვრთნელი ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“), რომლის ძირითადი საქმიანობის სფეროა მეზღვაურთა მოსამზადებელი პროგრამების (მოდელ-კურსების) განხორციელება.
2. ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს კოლეჯის დირექტორი.
3. ცენტრის და ცენტრის ხელმძღვანელის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ცენტრის დებულების შესაბამისად.